

საჯარო სივრცეში რელიგიური ატრიბუტების გამოყენების საკითხის  
პოლიტიკური და სამართლებრივი განზომილებები

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი, 20/06/2021 წელი.

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი ადამიანთა უფლებები და მათი დაცვის ინსტრუმენტებია. ამ უფლებებიდან კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიის თავისუფლებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავალ ასპექტს, მაგალითად: ადამიანის უფლებას შეიმოსოს და გამოიყენოს მისი რელიგიური ატრიბუტები სურვილისამებრ. აღნიშნული საკითხი უფრო და უფრო პოპულარული და პრობლემური გახდა ბოლო ათწლეულებში, განსაკუთრებით კი მსოფლიო მიგრაციის მატების ფონზე. ნაშრომში მიმოხილული იქნება საჯარო სივრცეში რელიგიური ატრიბუტების გამოყენების საკითხის პოლიტიკური და სამართლებრივი განზომილებები. ნაშრომის მთავარი მიზანი იქნება გამოიკვლიოს და აღწეროს ამ მეტად მგრძნობიარე საკითხის ფუნდამენტური ასპექტები: თუ როგორ რეგულირდება აღნიშნული თემა მსოფლიოსა და საქართველოში, ვაწყდებით თუ არა პრობლემებს და საკანონმდებლო ხარვეზებს ამ კუთხით.

ნაშრომი გამოიკვლევს საქართველოში არსებულ მდგომარეობას როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ და საკანონმდებლო დონეზე, ასევე მსოფლიოს მასშტაბით დაწესებული აკრძალვები შეესაბამება თუ არა საერთაშორისო კანონმდებლობას და რა სასამართლო პრაქტიკა არსებობს ამ საკითხის მიმართ. განსახილველ თემასთან დაკავშირებით ნაშრომი შეეცდება გამოიკვლიოს ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც საფუძვლად უდევს რელიგიური ატრიბუტებისა და სიმბოლოების გამოყენების აკრძალვას საჯარო სივრცეში. განხილული იქნება ისეთი რელიგიური ატრიბუტები როგორებიცაა: ჰიჯაბი, ბურჟი, ნიქაბი, ჯვრი და ტურბანი. ნაშრომი ასევე შეეხება მულტიკულტურალიზმს, სეკულარიზმს და მათ მნიშვნელოვან როლს განსახილველ საკითხში. კვლევა, ასევე იქნება მცდელობა, შეფასდეს რელიგიური ატრიბუტების გამოყენების საკითხის პრაქტიკულობა და დადგინდეს თუ რა შედეგი მოიტანა ხსენებულმა აკრძალვებმა წლების შემდეგ.

ამავდროულად, მოკლედ განხილული იქნება ადამიანის თავისუფლების და თავისუფალი ნების საკითხები. ნაშრომის მიზანია, გამოკვეთოს ის პრობლემური

საკითხები, რომლებსაც აწყდება დღევანდელი საზოგადოება, როდესაც საუბარია რელიგიის თავისუფლებაზე და რელიგიური ატრიბუტების გამოყენებაზე, საჯარო სივრცეში. ნაშრომში ერთობლივად გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული, და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. კვლევაში მიმოხილული იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, საერთაშორისო პრაქტიკა და ნორმატიული ბაზა, რომელიც არეგულირებს ამ საკითხს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** რელიგიის თავისუფლება, რელიგიური ატრიბუტები, სასამართლო გადაწყვეტილებები და კვლევები.

## **Abstract**

One of the greatest achievements of the modern world is human rights and the tools to protect them. One of the most important of these rights is freedom of religion, which encompasses many aspects, such as the right of a person to wear and use his or her religious attributes at their will. This issue has become more and more popular and problematic in recent decades, especially against the background of increasing global migration. The paper will review the political and legal dimensions of the use of religious attributes in public space. The main purpose of the paper will be to explore and describe the fundamental aspects of this highly sensitive issue: how this issue is regulated in the world and in Georgia, whether we face problems and legislative gaps in this regard.

The paper examines the current situation in Georgia at both the social, political and legislative levels, as well as whether the bans imposed worldwide comply with international law and what case law exists in this regard. the paper will also attempt to explore the legitimate aims underlying the prohibition of the use of religious attributes and symbols in public space. Religious attributes such as hijab, burqa, niqab, cross and turban will be discussed. The paper also deals with multiculturalism, secularism and their important role in the issue under discussion. The study will also be an attempt to assess the practicality of the issue of the use of religious attributes and to determine the consequences of these prohibitions years later.

At the same time, issues of human freedom and free will will be briefly discussed. The aim of the paper is to highlight the problematic issues today's society faces, when it comes to freedom of religion and the use of religious attributes in public space. The paper uses a combination of analytical, historical, and comparative-legal methods. The study will review court decisions, studies of international organizations, international practice and the regulatory framework governing this issue.

**Keywords:** freedom of religion, religious attributes, court rulings and research.